პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ოქტომბერი / 2022

მთავარი სიახლეები

ევროკომისია აქვეყნებს სახელმძღვანელო მითითებებს, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს ხელოვნური ინტელექტის შესახებ მცდარი წარმოდგენების აღმოფხვრაში და მის ეთიკურ გამოყენებაში

OECD-მ მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კონსულტაციებისთვის თანამშრომელთა მონიტორინგის სახელმძღვანელო დოკუმენტი გამოქვეყნა

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო (ICO) „ემოციის ანალიზის ტექნოლოგიის“ გამოყენების თაობაზე მიმართვას ავრცელებს

OECD-მ მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

26.10.2022

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (“OECD”) 2022 წლის 26 ოქტომბერს გამოაქვეყნა ანგარიში მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების გამოყენების შესახებ. კერძოდ, ანგარიში ასახავს მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების ეფექტიანობასა და ზიანს, ასევე, განსაზღვრავს შესაძლო მიდგომებს, რომლებიც მომხმარებლებმა და ბიზნესმა შეიძლება გაატარონ მათ შესამცირებლად. გარდა ამისა, ანგარიშში მოცემულია მტკიცებულება მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების გავრცელებასა და მათ გავლენაზე მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილების პროცესზე.

ფოტო: oecd.org

ტერმინი „მანიპულაციური სამეწარმეო მოდელები“ ეხება პრაქტიკის მრავალფეროვნებას, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება ონლაინ მომხმარებლის ინტერფეისებში. აღნიშნული მოდელები აიძულებს მომხმარებლებს, გააკეთონ მათ საუკეთესო ინტერესებთან შეუსაბამო არჩევანი. მანიპულაციური სამეწარმეო პრაქტიკა, როგორც წესი, აიძულებს მომხმარებლებს, გადაიხადონ მეტი ფული, ნაკლებად დაიცვან პერსონალური მონაცემები ან საკითხს დაუთმონ იმაზე ნაკლები დრო და ყურადღება, ვიდრე სასურველია. ამგვარად, აღნიშნული მოდელები განუყოფლად არის დაკავშირებული ბიზნეს მოდელთან, მაშინაც კი, თუ ინტერფეისის დიზაინერებს არ ჰქონდათ მავნე განზრახვა.

OECD-ის სამომხმარებლო პოლიტიკის კომიტეტი გვთავაზობს მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების სამუშაო განმარტებას, რათა ხელი შეუწყოს მარეგულირებლებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის იურისდიქციების დაახლოებას. მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების გამოყენება არის ბიზნეს პრაქტიკა, რომელიც:

- იყენებს ციფრული არჩევანის არქიტექტურის ელემენტებს, განსაკუთრებით ონლაინ ინტერფეისებში;
- ძირს უთხრის ან აფერხებს მომხმარებლის ავტონომიას გადაწყვეტილების მიღებისას ან არჩევანის თავისუფლებას;
- ატყუებენ, ზემოქმედებენ ან მანიპულირებენ მომხმარებლებით და სავარაუდოდ, მომხმარებელს პირდაპირ ან ირიბ ზიანს აყენებენ სხვადასხვა გზით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ასეთი ზიანის გაზომვა შეიძლება რთული ან შეუძლებელი იყოს.

კონკრეტულ გარემოში ტერმინის შესაბამისი სრული განმარტება შეიძლება, დამოკიდებული იყოს მის დანიშნულ გამოყენებაზე და უფრო ფართო

პოლიტიკაზე, სამართლებრივ ან ტექნოლოგიურ კონტექსტზე.

ფოტო: themarkup.org

ბევრ e-commerce ვებგვერდსა და აპლიკაციაში, მათ შორის, ძირითადი ონლაინ პლატფორმებში, ერთზე მეტი მანიპულაციური სამეწარმეო მოდელია განთავსებული. ონლაინ თამაშები, „ბრაუზერები“ და მრავალი მზა ჩანაწერის (“cookies”) თანხმობის შეტყობინებები, ხშირ შემთხვევაში, შეიცავს მანიპულაციურ მოდელებს. ეს უკანასკნელი პოტენციურად იწვევს მონაცემთა დაცვის კანონის დარღვევის მაღალ მაჩვენებლებს. ვებსაიტებსა და აპლიკაციებში ხშირი მანიპულაციური სამეწარმეო მოდელები მოიცავს:

- დიზაინერულ ჩარჩოს (ვარიანტების წინასწარ არჩევა ნაგულისხმევად ან მათთვის ვიზუალური პრიორიტეტის მინიჭებით, ინფორმაციის დამალვით ან რეკლამების შენიღბვით);
- აუცილებლობის განცდის შექმნას (პოტენციურად შეცდომაში შემყვანი მოდელები დროის დეფიციტის მითითებით);
- სოციალური მტკიცებულების გენერირებას (პოტენციურად შეცდომაში შემყვანი პოპულარობის ჩვენებებით);
- რეგისტრაციის ან ინფორმაციის გამჟღავნების იძულებას;
- ართულებს ბრძანების/გამოწერის გაუქმებას ან ბრძანებაზე უარის თქმას.

OECD-ის სახელმძღვანელოთი განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: რა არის მანიპულაციური სამეწარმეო მოდელები; მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების გავრცელება; ზეგავლენა მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღებაზე, გამოვლენასა და მომხმარებელთათვის ზიანის მიყენებაზე; მარეგულირებელი და აღსრულების ზომები მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების სქემებთან დაკავშირებით; საგანმანათლებლო, ტექნიკური და ბიზნეს ინიციატივები მანიპულაციური სამეწარმეო მოდელების მოსაგვარებლად.

ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭომ (EDPB) გამოაქვეყნა მოსაზრებები მონაცემთა დაცვის პირველი ევროპული ბეჭდისა და ციფრული ევროს გამოყენებით განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით

10.10.2022

EDPB-მ 2022 წლის 10 ოქტომბერს გამოაქვეყნა მოსაზრება ლუქსემბურგის მონაცემთა დაცვის ორგანოს მიერ წარდგენილი ევრო კონფიდენციალობის სერტიფიცირების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებაში განხილულია მონაცემთა დაცვის პირველი ევროპული ბეჭდის დამტკიცების საკითხი EDPB-ის მიერ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 42 (5) მუხლის შესაბამისად.

ევრო კონფიდენციალობის სერტიფიცირების მექანიზმი არის ზოგადი სქემა, რომელიც მიზნად ისახავს მონაცემთა დამუშავების ოპერაციების ფართო სპექტრს, რომლებიც შესრულებულია მონაცემთა დამმუშავებლების ან/და უფლებამოსილი პირების მიერ სხვადასხვა სექტორიდან. სქემა მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს და გამოიყენება ცალკეული გადამამუშავებელი ოპერაციების ან საქმიანობის სექტორებისთვის.

Opinion 28/2022 on the Europrivacy criteria of certification regarding their approval by the Board as European Data Protection Seal pursuant to Article 42.5 (GDPR)

ფოტო: edpb.europa.eu

EDPB-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინგადადგმული ნაბიჯია ევროპის კავშირში მოქმედი რეგულაციების GDPR-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისკენ. მონაცემთა დაცვის ბეჭდით სერტიფიცირება მოქმედებს ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში, რაც საშუალებას აძლევს მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს სხვადასხვა ქვეყანაში მიაღწიონ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის თანაბარ დონეს მონაცემთა დამუშავების ერთი ტიპის ოპერაციებისთვის.

EDPB-მ 2022 წლის 10 ოქტომბერს, ასევე, გამოაქვეყნა მოსაზრება ციფრული ევროს შესახებ. საკუთარ განცხადებაში EDPB იმეორებს დიზაინის მოდელებისა და დიზაინში ნაგულისხმევად კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობის თაობაზე (“privacy by design, by default”).

ფოტო: ecb.europa.eu

EDPB აფრთხილებს საზოგადოებას ციფრულ ევროში ყველა ტრანზაქციის სისტემური ვალიდაციისა და მონაცემთა აღრიცხვის (“tracking”) გამოყენების საფრთხეების შესახებ. ამასთან დაკავშირებით EDPB რეკომენდაციას იძლევა, რომ ციფრული ევრო ხელმისაწვდომი იყოს როგორც ინტერნეტ ქსელებზე წვდომით, ასევე, ქსელებზე წვდომის გარეშე, იმ შემთხვევებში, როდესაც თანხის ოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია ტრანზაქციების სრული ანონიმურობა. EDPB-მ მოუწოდა ევროპის ცენტრალურ ბანკს და ევროკომისიას, წაახალისონ საჯარო დებატები ციფრული ევროს პროექტთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყონ, რომ იგი აკმაყოფილებს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უმაღლეს სტანდარტებს.

ევროკომისია აქვეყნებს სახელმძღვანელო მითითებებს, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს ხელოვნური ინტელექტის შესახებ მცდარი წარმოდგენების აღმოფხვრაში და მის ეთიკურ გამოყენებაში

25.10.2022

25 ოქტომბერს კომისიამ გამოაქვეყნა ეთიკური სახელმძღვანელო დოკუმენტები ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესახებ და ინფორმაცია მასწავლებლებისთვის სწავლებასა და სწავლაში. სახელმძღვანელო დოკუმენტები ეხება, თუ როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი სკოლებში, მასწავლებლებისა და სტუდენტების სწავლებისა და სწავლის მხარდასაჭერად, ასევე საგანმანათლებლო გარემოში ადმინისტრაციული საკითხების მხარდასაჭერად.

სახელმძღვანელო დოკუმენტები განეკუთვნება ციფრული განათლების სამოქმედო გეგმას (2021-2027), რომელიც შეიმუშავა კომისიის ექსპერტთა ჯგუფმა (კომისიის ექსპერტთა ჯგუფი აერთიანებს პრაქტიკოსებს განათლების სფეროს წარმომადგენელი აკადემიური წრეებიდან, კერძო სექტორიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან).

ფოტო: ec.europa.eu

კომისარმა ინოვაციები, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში – მარია გაბრიელმა განაცხადა: „ხელოვნურ ინტელექტს აქვს დიდი პოტენციალი გარდაქმნას განათლება და ტრენინგი სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის და სკოლის პერსონალისთვის, ასევე შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს სწავლის სირთულეების დაძლევაში.



ფოტო: ec.europa.eu

ვინაიდან ხელოვნური ინტელექტის სისტემები მუდმივად ვითარდება და მონაცემთა გამოყენება იზრდება, მნიშვნელოვანია მათი გავლენის უკეთ გაგება, მათ შორის განათლებასა და ტრენინგზე. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სწრაფი ზრდა მოითხოვს, რომ მასწავლებლებსა და სტუდენტებს ჰქონდეთ საბაზისო გაგება ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა გამოყენების შესახებ, რათა შეძლონ პოზიტიურად, კრიტიკულად და ეთიკურად ჩაერთონ ამ ტექნოლოგიაში და გამოიყენონ მისი სრული პოტენციალი.“

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კონსულტაციებისთვის თანამშრომელთა მონიტორინგის სახელმძღვანელო დოკუმენტი გამოქვეყნა

18.10.2022

2022 წლის 12 ოქტომბერს, გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (ICO) თანამშრომელთა მონიტორინგის დროს დამსაქმებელთა ვალდებულებების შესახებ სახელმძღვანელოს პროექტზე საჯარო კონსულტაციები გამოაცხადა. ამასთანავე, ICO-მ გამოაქვეყნა ზეგავლენის არეალის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ეხება ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს პროექტის შესაძლო გავლენას.



ფოტო: ico.org.uk

ICO-ს მიერ დასაქმების პრაქტიკის შესახებ მოქმედი კოდექსი 2011 წელს გამოქვეყნა. მას შემდეგ, ტექნოლოგიების, შრომითი ურთიერთობების, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და COVID-19-ის პანდემიის გავლენით, სამუშაო სივრცე მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ფოტო: ico.org.uk

სახელმძღვანელოს პროექტი, განკუთვნილია დამსაქმებლებისთვის და მიზნად ისახავს სამუშაო სივრცის მონიტორინგისას UK GDPR-თან შესაბამისობის უზრუნველყოფაში მათთვის დახმარების გაწევას. სახელმძღვანელოს პროექტი ცხადყოფს, რომ UK GDPR და მონაცემთა დაცვის შესახებ 2018 წლის აქტი უშვებს დამსაქმებლის მიერ თანამშრომელთა მონიტორინგის შესაძლებლობას, თუმცა მონიტორინგის კანონიერების უზრუნველყოფისთვის აწესებს მთელ რიგ მოთხოვნებს. სახელმძღვანელოს პროექტში განხილულია შემდეგი საკითხები:

- **როგორ უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა კანონიერი მონიტორინგი:** ამ ნაწილში მოცემულია პრაქტიკული მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ დამსაქმებლებს თანამშრომელთა კანონიერი მონიტორინგი UK GDPR-ის პრინციპების დაცვით. კერძოდ, სახელმძღვანელოში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირების, ასევე,

მონიტორინგის აქტივობების შესახებ თანამშრომელთა ინფორმირების აუცილებლობის შესახებ რჩევები და სხვა.

- **მონიტორინგის ინსტრუმენტებში ავტომატური პროცესების გამოყენება:** ICO-ს მიაჩნია, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტები ხშირად მოიცავს ავტომატიზებულ პროცესებს. სახელმძღვანელოს პროექტში განხილულია მოთხოვნები ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც მხოლოდ ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს იღებს და ახდენს იურიდიულ ან მსგავსი მნიშვნელობის გავლენას თანამშრომელზე.

ფოტო: freepik.com

- **მონაცემთა დაცვის სპეციფიკური საკითხები სხვადასხვა ტიპის მონიტორინგისთვის:** ეს ნაწილი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, შეუძლიათ თუ არა დამსაქმებლებს სატელეფონო ზარების, ელ. ფოსტის, შეტყობინებების, სამსახურის ავტომობილების, მოწყობილობის აქტივობების მონიტორინგი, ასევე, რა უნდა გაითვალისწინონ დამსაქმებლებმა ასეთი მონიტორინგის განხორციელებისას.

ფოტო: freepik.com

- **ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება დროისა და დასწრების კონტროლისთვის**: სახელმძღვანელოს პროექტი იძლევა მითითებებს, თუ როგორ უნდა დაიცვას დამსაქმებელმა UK GDPR-ის პრინციპები ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებისას თანამშრომელთა მხრიდან შენობა-ნაგებობებსა და სისტემებზე წვდომის მონიტორინგის მიზნებისთვის.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მონაცემთა დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე იმსჯელა

19.10.2022

ფოტო: ohchr.org

გენერალური ასამბლეის მოხსენების ფარგლებში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელთა საშუალებითაც მუშავდება პერსონალური მონაცემები, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინდივიდების ცხოვრებაში. პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად ახალი ციფრული ტექნოლოგიები, რომლებიც არის ფართომასშტაბიანი, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას.

გაეროს ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობა უნდა განხორციელდეს ადამიანის ღირსების შეულახავად. მისივე თქმით, დღევანდელ რეალობაში საჯარო და პირადი საქმიანობა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, მოითხოვს დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მოუწოდა სახელმწიფოებს მხედველობაში მიიღონ მის ანგარიშში გაწერილი სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც მათი სამართლებრივი სისტემის ნაწილი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის საქმიანობას.

- ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა თემატურ საკითხზე (კანონიერება; თანხმობა; მიზანი; პროპორციულობა; მონაცემთა მინიმიზაცია; ხარისხი; პასუხის-მგებლობა; უსაფრთხოება და ა. შ.), რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა, რათა დაიცვან ბალანსი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში კონფლიქტურ ინტერესებსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.



ფოტო: flaticon.com

> გაეროს ექსპერტმა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების პროცესში ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და თანმიმდევრული მოქმედების მნიშვნელობაზე. ყოველივე აღნიშნულის მიზანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა როგორც ვირტუალურ, ისე რეალურ სივრცეში.

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო (ICO) „ემოციის ანალიზის ტექნოლოგიის“ გამოყენების თაობაზე მიმართვას ავრცელებს

26.10.2022

ფოტო: towardsai.net

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო (ICO) ორგანიზაციებს აფრთხილებს, რომ „ემოციის ანალიზის ტექნოლოგიების“ სისტემის დანერგვამდე შეაფასონ მათი გამოყენების საჯარო რისკები. ის ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან აღნიშნულს, საფრთხეს უქმნიან მოწყვლად პირებს და შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მოლოდინებს ვერ ამართლებენ.

„ემოციის ანალიზის ტექნოლოგით“ მონაცემების დამუშავებაში მოიაზრება პირის შემდეგი მახასიათებლები:

- ადამიანის გამომეტყველება;
- განწყობის ანალიზი;
- სახის მოძრაობა;
- სიარულის ანალიზი;
- სახის ემოციები;
- კანის სტრუქტურა.

ემოციის ანალიზი ეფუძნება პერსონალურ მონაცემთა შეგროვებას, შენახვასა და დამუშავებას, მათ შორის, ქვეცნობიერ ქცევებს ან ემოციებს და რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. აღნიშნული მონაცემების გამოყენება გაცილებით მეტი რისკის შემცველია, ვიდრე ტრადიციული ბიომეტრიული ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება პირის ვერიფიკაციის ან იდენტიფიცირების მიზნით.

ICO-მ აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ქმნის დამატებით რისკებს პირთა შესახებ მცდარი ინფორმაციის მოწოდების თვალსაზრისით. საზედამხედველო ორგანოს თქმით, „ემოციის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია“ არ არის განვითარებული იმდენად, რომ დააკმაყოფილოს მონაცემთა დაცვის შესაბამისი მოთხოვნები. ასევე, აღნიშნული ბადებს კითხვებს პროპორციულობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით.



ფოტო: freepik.com

ICO განაგრძობს ბაზრის შემოწმებას და დაინტერესებული პირების იდენტიფიცირებას, რომლებსაც სურთ ამგვარი ტექნოლოგიების შექმნა ან განთავსება. ასევე, ორგანო იმუშავებს ცნობიერების ამაღლების საკითხებზე მონაცემთა გაძლიერებული დაცვის საჭიროების შესახებ.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო GDPR-ით გათვალისწინებულ „დავიწყების უფლებას“ განმარტავს

28.10.2022

ფოტო: https://www.medium.com

2022 წლის 27 ოქტომბერს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) “C-129/21 Proximus NV v. Gegevensbeschermingsautoriteit” საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გადაწყვეტილება გამოიტანა. აღნიშნული წინასწარი გადაწყვეტილება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე მიიღო.

საქმე შეეხებოდა წინასწარი გადაწყვეტილების მეშვეობით პირადი ცხოვრების დაცულობისა და ელექტრონული კომუნიკაციების დირექტივის (2002/58/EC, “The ePrivacy Directive”) 2(2) და 12(2) მუხლების განმარტებას, ასევე მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR-ის მე-5(2), მე-17, 24-ე და 95-ე მუხლების განმარტებას). ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი გახდა დავა ბელგიურ კომპანია “Proximus NV” და ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შორის, რომლის საფუძველზე ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კომპანია “Proximus NV”-ს დაავალა სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გარკვეული ზომების განხორციელება და ასევე მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე ჯარიმის სახით 20,000 ევრო განუსაზღვრა.

ფოტო: https://www.freepik.com/

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ევროკავშირის სამართლებრივი აქტებიდან რიგი მუხლები შემდეგნაირად განმარტა:

- პირადი ცხოვრების დაცულობისა და ელექტრონული კომუნიკაციების დირექტივის (2002/58/EC) მე-12(2) და 2(2) მუხლების და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 95-ე მუხლის მიზნებისთვის, თანხმობა განმარტებულ უნდა იქნეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-4(11) მუხლის შესაბამისად (მონაცემთა სუბიექტის „თანხმობა“ ნიშნავს მონაცემთა სუბიექტის სურვილის ნებაყოფლობით, კონკრეტულ, ინფორმირებულ, მკაფიო გამოხატულებას, რომელიც გადმოცემულია განცხადებით ან ნათლად და აქტიურად გამოხატული ქმედებით და რომლის საშუალებითაც

ის აცხადებს თანხმობას მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე).

- მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-17 მუხლი (მონაცემთა წაშლის უფლება, „დავიწყების უფლება“) განმარტებული უნდა იქნეს ისე, რომ აბონენტის მოთხოვნა წაშლილი იქნეს მისი პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო ცნობარიდან წარმოადგენს ამავე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა წაშლის უფლებას.

ფოტო: https://www.freepik.com/

- მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-17 (2) მუხლი განმარტება უნდა მოხდეს ისე, რომ ეროვნულ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გააჩნდეს, მათ შორის, უფლებამოსილება დაავალოს საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო ცნობარის ავტორს (მონაცემთა დამმუშავებელს) შეასრულოს აბონენტის მოთხოვნა და აღკვეთოს მისი მონაცემების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge